

ბავშვთა კეთილდღეობის სისტემა საქართველოში

მაგისტრანტი: ირინე ლაშაური

*სამაგისტრო ნაშრომში წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე, სოციალურ მეცნიერებათა მაგისტრი
სოციალურ მუშაობაში აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

პროგრამა: სოციალური სამუშაო

სამეცნიერო ხელმძღვანელი: შორენა სამაგლიშვილი, ასოცირებული პროფესორი



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2016

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს საქართველოში ბავშვთა კეთილდღეობის სისტემის ანალიზს. 2005 წლიდან საქართველოს მთავრობამ დაიწყო ბავშვზე ზრუნვის სისტემის რეფორმა, რომელიც გულისხმობდა სააღმზრდელო დაწესებულებაში მყოფი ბავშვების დეინსტიტუციონალიზაციას და მათი ოჯახურ გარემოში აღზრდის უზრუნველყოფას.

კვლევის მიზანია ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმის მიმოხილვა და ამ სფეროში არსებული მდგომარეობის შეფასება 2008-2012 და 2012-2015 წლების სამოქმედო გეგმების შედარებითი ანალიზის საშუალებით, ასევე რეკომენდაციების შემუშავება.

კვლევის თეორიულ ნაწილში მიმოხილულია ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმა დასაწყისიდან დღემდე. განხილულია საკითხთან დაკავშირებით არსებული კვლევები, ქართული კანონმდებლობა და რეგულაციები, რომლებიც არეგულირებენ ბავშვზე ზრუნვის სისტემაში მიმდინარე პროცესებს. განხორციელდა ექსპერტული ინტერვიუები ბავშვზე ზრუნვის სისტემაში მომუშავე სპეციალისტებთან, რომლებიც სისტემის სხვადასხვა რგოლს წარმოადგენენ. ინტერვიუების შედეგად მოპოვებული მასალების საფუძველზე განხორციელდა რეკომენდაციების შემუშავება სისტემის დახვეწისა და ბავშვთა კეთილდღეობის პოლიტიკის სამომავლო მიმართულებისათვის.

კვლევის ძირითადი შედეგები მდგომარეობს შემდეგში: დღეისათვის სისტემა კონკრეტული გამოწვევების წინაშეა. არსებული მომსახურებები საჭიროებს დახვეწას და განვითარებას, სახელმწიფო პოლიტიკის პრიორიტეტი ფსიქო-სარეზილიტაციო სერვისების განვითარება და როგორც სისტემაში მყოფი ბავშვების, ასევე მათი ბიოლოგიური ოჯახებისთვის შეთავაზებაა. პრობლემაა უწყებათაშორისი კოორდინაციის სირთულეები, სისტემაში მომუშავეთა არასათანადო სამუშაო პირობები, სერვისების ნაკლებობა და რეგულაციების დახვეწა.

კვლევა აქტუალური იქნება იმ ადამიანებისათვის, რომლებიც დაინტერესებულნი არიან ბავშვთა კეთილდღეობის სისტემაში არსებული პრობლემების შესწავლით.

Abstract

The present work represents the analysis of a child's welfare system. Since 2005 the government of Georgia has recognized the children's rights and a childcare as a state priority and has begun reforming of a child care system which implied the deinstitutionalization of children being in educational institutions and providing them with upbringing in a family environment.

The aim of the research is to review child welfare reform and the assessment of the situation in this area with the help of comparative analysis of action plans for the years 2008-2012 and 2012 -2015 as well as working out recommendations.

In the theoretical part of the research the child welfare reform has been reviewed from the beginning to the present day. The research discusses the issue of existing studies, Georgian legislation and regulations which govern the current process of the child welfare system.

Expert interviews were carried out with the child care professional working in the system and belonging to various elements of the system. Based on the materials obtained in the interviewing process, developing recommendations were carried out for improving the system and future directions of child welfare policy.

The main results of the research are as follows: at present the system faces the specific challenges. The existing services need to be improved and developed. The state policy priority is to develop psychosocial rehabilitation services and to offer them to the children being in the system and to their families. The problems of inter-agency coordination difficulties, workers' in poor working conditions, lack of services and refinement of regulations do exist.

The current research will be urgent for people who are interested in studying the problems in the child welfare system.